

2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა


მე-2 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია დათვლის, სურათის აღქმის, რიცხვების შედარების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

- **ვიზუალური აღქმა და დათვლა**
 - მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული ფიგურებისა თუ საგნების ამოცნობა და საჭიროებისამებრ მათი დათვლა

მაგალითი: რამდენი ფანქარია სურათზე?



- A) 6 B) 7 C) 8

- **რიცხვების შეკრება, გამოკლება ან/და შედარება**
 - მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება და რიგ შემთხვევაში შემდეგ მათი შედარება. მან უნდა ამოიცნოს ნაკლებობის, მეტობისა და ტოლობის სიმბოლოები (>, <, =), იმისთვის რომ შეარჩიოს სწორი პასუხი.

მაგალითი: ჩამოთვლილებიდან რომელია მცდარი?

- A) $10+8 = 19$ B) $8+8 = 16$ C) $12+5 = 17$

- **რიცხვთა მიმდევრობა**
 - მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა:

მაგალითი: დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი რა რიცხვი უნდა ეწეროს გამოტოვებულ ადგილას: 11; 9; 7; 5; ...

- A) 4 B) 3 C) 2